თანასწორობის საბჭოს სხდომის

ოქმი N4

ქ. ხონი **27 ივლისი 2022 წელი**

2022 წლის 27 ივლისს გაიმართა ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა რომელსაც ხელმძღვანელობდა საბჭოს თავმჯდომარე კობა კუბლაშვილი საბჭოს 23 წევრიდან სხდომას ესწრებოდნენ: ვალერი ბახტაძე, მანანა გოფოძე, ზაზა ვაშაკიძე, გურამი ბახტაძე, ზურაბ მიქაძე, ბაჩანა ბასილაია, მანანა აკობიძე, ეთერი უგილავა, თეკლა ონიანი, ელისო ჯიქია, აკაკი ქვათელაძე .

სხდომის დღის წესრიგი:

1.გენდერული თანასწორობის მუნიციპალური საბჭოს სიმბოლოების შესახებ.
მომხსენებელი: აკაკი ქვათელაძე - გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი
2.ღონისძიების, შეხვედრების დაგეგვმისა და საბჭოს წევრთა ჩართულობის შესახებ.
მომხსენებელი: კობა კუბლაშვილი - გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე.
3.საინფორმაციო შეხვედრების შესახებ.
მომხსენებელი: ელისი ჯიქია - გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხზე:"გენდერული თანასწორობის მუნიციპალური საბჭოს სიმბოლოების შესახებ". საბჭოს წევრებს მიმართა საბჭოს მდივანმა აკაკი ქვათელაძემ, მან ისაუბრა პარლამენტის წევრის გენდერული საბჭოს თავმჯდომარის ნინო წილოსანის წერილის შესახებ რომელშიც საუბარია გენდერული საბჭოების სიმბოლოების შესახებ. საჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს იმ იდეას რომ ყველა გენდერული საბჭოს სიმბოლოები იყოს ერთგვაროვანი და განსხვავდებოდეს მასზე დატანილი მუნიციპალიტეტების სახელებით.
დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხზე:"ღონისძიების, შეხვედრების დაგეგვმისა და საბჭოს წევრთა ჩართულობის შესახებ". საბჭოს წევრებს მიმართა გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ კობა კუბლაშვილმა მან ისაუბრა ღონისძიების, შეხვედრების დაგეგვმისა და საბჭოს წევრთა ჩართულობის შესახებ მან მოუწოდა გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს აქტიურათ დაგეგმონ და ჩაერთონ სხვადასხვა ღონისძიებებში. საბჭოს თავმჯდომარემ შესთავაზა საბჭოს წევრებს დაგეგმონ ღონისძიება ასხის მთაზე სადაც მოხდება შეხვედრა იქ სეზონურად მაცხოვრებელ მწყემსებთან. ამასთან დაკავშირებით გაგზავნილ იქნას წერილი მერის სახელზე რათა განხორციელდეს ამ იდეისს ფინანსური მხარდაჭერა. და მომდევნო შეხვედრაზე მოწვეულ იქნან რაიონის ვეტექიმი, თრაპევტი და რაიონში მოქმედი ფოლკლორული ჯგუფების ხელმძღვანელები.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხზე: „საინფორმაციო შეხვედრების დაგეგმვის შესახებ". საბჭოს წევრებს მიმართა გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოაგილემ ელისო ჯიქიამ. მან მოუწოდა გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს აქტიურათ დაგეგმონ და ჩაერთონ სხვადასხვა თემატიკის საინფორმაციო შეხვედრებში. აგრეთვე აღნიშნა რომ გენდერული საჭოს ეგიდით 28 ივლისს გაიმართება საინფორმაციო შეხვედრა ძუძუს კიბოს პრევენციული ღონისძიებების შესახებ.

სხდომის დღისწესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომა დახურულად გამოცხადდა.

გენდერული თანასწორობის სხდომის

თავმჯდომარე : **კობა კუბლაშვილი**

სხდომის მდივანი: **აკაკი ქვათელაძე**